ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტის, ქალბატონი როზა კორნფელდ-მატეს საქართველოში ვიზიტის
ა ნ გ ა რ ი შ ი

(2018 წლის 21-22 მარტი)

2018 წლის 12-22 მარტს, საქართველოს ვიზიტით ეწვია ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტი, ქალბატონი როზა კორნფელდ-მატე. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრები გამართა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციებში, საგარეო საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების და ფინანსთა სამინისტროებსა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში.

ვიზიტის ფარგლებში ქალბატონმა როზა კორნფელდ-მატემ აგრეთვე მოინახულა თბილისში არსებული ხანდაზმულთა თავშესაფრები - „ბასილიადა“ და „თაობა“, ხანდაზმულთა დღის ცენტრი - დაბა კაზრეთში და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება - შავშებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, ბატონი დავით ზალკალიანის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 13 მარტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:
გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) ანი გაბრიჭიძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; 2) ნინო შეყრილაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს უფროსი; 3) სალომე სუპატაშვილი - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს პირველი მდივანი.

საუბრის ჩანაწერი

დავით ზალკალიანი:

- მოგესალმებით. იმედი მაქვს, საქართველოში თქვენი ვიზიტი ნაყოფიერი იქნება.

როზა კორნფელდ-მატე:

- მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ შეხვედრისათვის. მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, ვეწვიო საქართველოს და გავეცნო ხანდაზმულთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

დავით ზალკალიანი:

- საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა დაცვას.
- ჩვენი მიზანია დემოკრატიული ღირებულებები განმტკიცებული იყოს ქმედითი ნაბიჯებით.
- განსაკუთრებით გვაღელვებს ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, რომლებიც არ იმყოფება საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ.
- სამწუხაროდ, გასულ წლებში სპეციალური მანდატის მფლობელებს არ მიეცათ აღნიშნულ რეგიონებში შესვლის შესაძლებლობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა ყოფილი უმაღლესი კომისრის, ნავანეთემ პილაის სიტყვებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები იქცა ე.წ. „შავ ხვრელებად“, ცხინვალის რეგიონი კი - „ყველაზე შეუღწევად ადგილად“.
- იმედს გამოვთქვამთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ თქვენც არ მოგეცემათ აღნიშნულ რეგიონებში შესვლის შესაძლებლობა, ეს აისახება თქვენს მიერ მომზადებულ ანგარიშში.
- საქართველოს მჭიდრო და წარმატებული თანამშრომლობა აკავშირებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან და სპეციალური მანდატის მფლობელებთან. გასულ წლებში საქართველომ უმასპინძლა სხვადასხვა სპეციალური მანდატის მფლობელებს, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირთა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე გაერო-ს სპეციალურ მომხსენებლებს.
- ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ ნებას გაერო-ს სპეციალურ მომხსენებლებთან ჩვენი თანამშრომლობა იყოს გამჭვირვალე და პირნათლად შესრულდეს ამ მიმართულებით აღებული ყველა ვალდებულება.
- მოგეხსენებათ, საქართველო არის გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი 2016-2018 წლების ვადით, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა, გავაძლიეროთ ადამიანის უფლებათა დაცვა ქვეყანაში და შევუერთდეთ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას ამ მიმართულებით.
- მსურს, დავუბრუნდე ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ოკუპირებულ რეგიონებში. იქ მყოფ ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, არ აქვთ წვდომა საკუთარ მიწებსა და სამედიცინო მომსახურებაზე. მნიშვნელოვნად არის

შეზღუდული მათი გადაადგილების თავისუფლება. ხშირად ხდება ადამიანების გატაცება და ზოგ შემთხვევაში -მათი მკვლელობაც, რაც ცოტა ხნის წინ მოხდა. სამი საქართველოს მოქალაქე გაიტაცეს, ერთი კი მოკლეს.

- სამწუხაროდ, ეს არ არის განცალკავებული შემთხვევა. გასულ წელს ე.წ. მესაზღვრეებმა მოკლეს გიგა ოთხოზორია, რაც ადასტურებს საოკუპაციო რეჟიმის მიერ ეთნიკურ ნიადაგზე ადამიანების დისკრიმინაციას.
- ვფიქრობ, აღნიშნული ფაქტები არ უნდა დარჩეს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიღმა და აუცილებელია, მკაცრად დაიგმოს. მოგეხსენებათ, საქართველომ განაცხადა, რომ ის არის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრე და 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პრინციპების ერთგული. იგივეს მოვითხოვთ რუსული მხარისგან, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.
- აუცილებელია, გაძლიერდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე, რათა შევახსენოთ, რომ აუცილებელია საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვა.
- მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და იმედს გამოვთქვამ, რომ მოგეცემათ შესაძლებლობა სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოთ ყველა შესაბამისი უწყებიდან ხანდაზმულთა უფლებების შესახებ.
- კიდევ ერთხელ გამოვთქვამ იმედს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა ასახული იქნება თქვენს ანგარიშში.

როზა კორნფელდ-მატე:

- დიდი მადლობა მოწოდებული ინფორმაციისთვის, ვეცდები მაქსიმალურად შევისწავლო ხანდაზმულთა უფლებები საქართველოს ტერიტორიაზე. აუცილებლად გავითვალისწინებ თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.
- ვიზიტის ფარგლებში გვსურს, ასევე, მოვინახულოთ ხანდაზმულთა სახლები.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ს.სუპატაშვილმა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 13 მარტი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:
გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) თათია გვარამაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური დეპარტამენტის, პენსიებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი; 2) დავით ივანიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი; 3) სალომე სუპატაშვილი - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს პირველი მდივანი.

საუბრის ჩანაწერი

როზა კორნფელდ-მატე:

- მოგესალმებით. მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება გავეცნო საქართველოში არსებულ მდგომარეობას ხანდაზმულთა უფლებების დაცვის კუთხით.
- საინტერესოა ხანდაზმული ადამიანების დაცვის კუთხით შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები, ასევე ხანდაზმულთა სახლებში არსებული ვითარება და პენსიის საკითხები. ასევე, თუ არსებობს რაიმე დასაქმების პროგრამები ხანდაზმულების დასაქმების და როგორ ხორციელდება ისინი.

თათია გვარამაძე:

- სიამოვნებით გაგაცნობთ სოციალური კუთხით განხორციელებულ სიახლეებს.
- როგორც მოგეხსენებათ, მთავრობამ ცოტა ხნის წინ დაამტკიცა სამოქმედო გეგმა „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ განსახორციელებლად. ჩვენი სამინისტროს საქმიანობა, სხვა სამინისტროებთან ერთად, ვრცლად არის გაწერილი აღნიშნულ გეგმაში.

ქეთი გოგინაშვილი:

- აღნიშნული სამოქმედო გეგმა არის გაერო-ს ევროპის ეკონომიკურ კომისიიასთან (UNECE) 10 წლიანი სამუშაო პროცესის შედეგი.
- 2014 წელს, კომისიის სხდომაზე საქართველომ განაცხადა, რომ სურდა გაერო-ს დახმარების მიღება ასეთი გეგმის შემუშავების მიზნით. 2014 წლის შემდგომ, გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის დახმარებით, პირველ ეტაპზე შემუშავდა გზამკვლევი (road map) დაბერების საკითხებზე. სამოქმედო გეგმა, ისევე როგორც გზამკვლევი, ეფუძნება დაბერების შესახებ მადრიდის 2002 წლის საერთაშორისო სამოქმედო გეგმას.
- სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ შესაბამისი უწყებები და ორგანიზაციები, ასევე, ხანდაზმული პირები.
- მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოამზადა კონცეფციის დოკუმენტი, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა დროში, ვადებში და კონკრეტული ვალდებულებებით გაწერილი სამოქმედო გეგმა, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მითითებით, რის შემდგომაც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა გეგმა.

თათია გვარამაძე:

- ხანდაზმულთა საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს, იყოფა ორ ნაწილად: ფულადი და არაფულადი ნაწილი. ფულადი ნაწილი არის ყველაზე დიდი პროგრამა, რაც საქართველოს ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება და მოიცავს საპენსიო უზრუნველყოფას. პენსიის შესახებ კანონი საქართველოში 2006 წელს შემუშავდა. მას შემდეგ, პენსიის ოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა და დღეის მდგომარეობით შეადგენს 180 ლარს.
- მოგეხსენებათ, საქართველოს მოსახლეობა არის დაბერებადი და ყოველდღიურად იზრდება პენსიის მიმღებთა რაოდენობა. თებერვლის მდგომარეობით საქართველოში 734000 პენსიონერია, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 19%-ს შეადგენს.
- საქართველოში პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია მხოლოდ საპენსიო ასკის მიღწევაზე და არ არის დაკავშირებული სამუშაო სტაჟზე ან შენატანზე (საპენსიო ასაკი კაცისთვის - 65 წელი, ქალისთვის - 60 წელი).
- ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს განხილვა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებაზე.
- ხანდაზმული ადამიანების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერის გამოხატვის მეორე კომპონენტი არის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა არის სტატისტიკური მოდელი, რომლის მეშვეობითაც ვეხმარებით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს. პროგრამის ფარგლებში, სარეიტინგო ქულების მიხედვით, ოჯახის ყველა წევრი იღებს ფულად დახმარებას. ეს პროგრამა განკუთვნილია უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ოჯახებისთვის და მისი მიზანია, დაეხმაროს ოჯახებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებაში. მათ, ვისაც სჭირდება აღნიშნული სახის დახმარება, ახდენს თვითიდენტიფიცირებას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და წერს განცხადებას. სააგენტო არის სამინისტროს პროგრამების დიდი ნაწილის

განმახორციელებელი. სოციალური დახმარება ეფუძნება შესაბამის შეფასებას, პენსია კი - მხოლოდ საპენსიო ასაკს. მომართვის შემდეგ, სოციალური აგენტი მიდის ოჯახში, ავსებს დოკუმენტებს, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ოჯახის წევრთა შესახებ. ინფორმაციის დამუშავების შემდგომ მიიღება სარეიტინგო ქულა, ე.წ. კეთილდღეობის ინდექსი.

- გაერო-ს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 2 წელიწადში ერთხელ ახორციელებს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევას, ბოლო კვლევა 2015 წელს ჩატარდა, რომელმაც დაადასტურა, რამდენად დიდი გავლენა აქვს სიღარიბეზე პენსიებსა და სოციალურ დახმარებებს.

ქეთევან გოგინაშვილი:

- რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას ხანდაზმულებისთვის, 2013 წლიდან სამედიცინო მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ასაკით პენსიონერი მოსახლეობისთვის ცალკე პაკეტი არის განკუთვნილი, რომელიც მოიცავს გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურეობას, მთლიანად ფარავს გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონალურ მომსახურებას და გეგმიურ ქირურგიულ ოპერაციების 90%-ს. აღნიშნულ პაკეტში ასევე შედის ძვირადღირებული ონკოლოგიური ოპერაციები.
- ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის და განსაკუთრებით პენსიონერებისთვის,ხდება მედიკამენტების საფასურის დაფარვა. პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ხდება ოჯახის ექიმის დონეზე, რომელიც სრულიად უფასოა.

როზა კორნფელდ-მატე:

- საინტერესოა, თუ გყავთ გერიატრები? გერიატრები სრულიად სხვა კუთხით უდგებიან ხანდაზმულებს.
- თუ იქნება შესაძლებელი ჩემთვის მოხუცთა თავშესაფრების მონახულება?

ქეთევან გოგინაშვილი:

- სამწუხაროდ, 2000 წლის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტი უკვე აღარ უშვებს გერიატრებს, თუმცა ჩვენს სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია გერიატრიის შესახებ კურიკულუმის შექმნა, რათა სამედიცინო ინსტიტუტმა კვლავ მოამზადოს სპეციალისტები აღნიშნულ სფეროში. სახელმწიფო ხელს შეუწყობს აღნიშნულ პროცესს, რათა მოხდეს მოსახლეობის დაინტერესება.
- საქართველოს მოსახლეობა დაბერებადი ერია და აღნიშნული სერვისები სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. ჩვენი მიზანია, მოხდეს ოჯახის ექიმების გადამზადება ამ კუთხით.
- არსებობს გერიატრების ასოციაცია, რომელიც დაგვეხმარება ოჯახის ექიმების გადამზადების პროცესში.

თათია გვარამაძე:

- მოხუცთათვის გვაქვს 14 სერვისი (მოხუცებულთა სახლი), სადაც ხანდაზმულები იმყოფებიან და შესაძლებელია მათი მონახულება. სახელმწიფო იხდის სერვისის

ღირებულებას, ხოლო სერვისების მიმწოდებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი მიზანია, მოხდეს დეინსტიტუციონალიზაცია. ამჟამად გვაქვს 2 ხანდაზმულთა სახლი, რომელიც სრულად სახელმწიფოს ეკუთვნის.

- არსებობს სპეციალური სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ასეთი ტიპის საცხოვრებელი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ასეთ სახლებს არეგისტრირებს და აფინანსებს სერვისის მიწოდებას.
- შევათანხმებთ თქვენს ვიზიტს რომელიმე მათგანში.

დავით ივანიძე:

- 2012 წლის შემდგომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა დასაქმების პორტალი - www.worknet.gov.ge. ამჟამად პორტალზე დარეგისტრირებულია 147 000 ადამიანი. დარეგისტრირების მინიმალური ასაკი არის 16 წელი, მაქსიმალური ასაკი განსაზღვრული არ არის. მათგან დაახლოებით 30%-ზე მეტი არის 50 წელს გადაცილებული შრომისუნარიანი და საკმაო გამოცდილების მქონე ადამიანები. სამწუხაროდ, გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ბევრმა მათგანმა კვალიფიკაცია დაკარგა, შრომის ბაზარზე კი ახალი მოთხოვნები გაჩნდა. ამისათვის მთავრობა ახორციელებს პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელწიფო პროგრამას. ქვეყანაში ასევე არსებობს დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ს.სუპატაშვილმა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ქალბატონი ეკატერინე მიქაბაძის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 14 მარტი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) გიორგი ჭიჭინაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; 2) ანა კოტრიკაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს ატაშე.

საუბრის ჩანაწერი

როზა კორნფელდ-მატე:

- მადლობას გიხდით, რომ დაგვითმეთ თქვენთვის ძვირფასი დრო და შეგვხვდით.
- საქართველოში ჩემი ვიზიტის მიზანია, შევისწავლო თქვენს ქვეყანაში ხანდაზმულ პირთა უფლებების კუთხით არსებული სიტუაცია.
- მაინტერესებს, რა მიღწევები აქვს ამ სფეროში კონკრეტულად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს?

ეკატერინე მიქაბაძე:

- მოგესალმებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის.
- მსგავსად მრავალი ქვეყნისა, დემოგრაფიული განვითარების კუთხით, ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხი საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენს.
- როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში მრავალი რეფორმა მიმდინარეობს, მათ შორის, ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხი დღის წესრიგში დგას.
- ჩვენი სამინისტრო კონკრეტულად ეკონომიკური ბლოკის ფარგლებში მუშაობს და ახორციელებს საპენსიო რეფორმას, რომელიც წარმოდგენილი იქნება გრძელვადიანი რეფორმის სახით.
- ამჟამად, საქართველოში მოქმედებს ნულოვანი პილარი - საბაზისო პენსია, რომელიც სოციალური დახმარების ხასიათს ატარებს და არ უზრუნველყოფს ღირსეულ სიბერეს. არსებული პენსია საკმაოდ მცირე თანხაა -180 ლარი, რომელიც არის საშუალო ხელფასის 20%. აღნიშნულმა რიცხვმა ბოლო 2 წელია საარსებო მინიმუმს გადააჭარბა. საბაზისო პენსიის ზრდა კანონით გათვალისწინებული არ არის, თუმცა ახალი რეფორმა მიზნად ისახავს ზემოხსენებული პენსიის გაზრდას.
- მაღალმთიან რეგიონებში პენსია 220 ლარია.
- საბაზისო პენსიის ზრდა მოსალოდნელია 2019 და 2020 წლებში 20-20 ლარით.

როზა კორნფელდ-მატე:

- საბაზისო პენსიის გარდა, მოქმედებს თუ არა თქვენს ქვეყანაში სოციალური დახმარება მოწყვლადი ფენებისთვის?
- სტატისტიკურად საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტია მოწყვლადი?
- ფარავს, თუ არა საყოველთაო დაზღვევა მედიკამენტების ხარჯებს?

ეკატერინე მიქაბაძე:

- მოწყვლადი ფენებისთვის საბაზისო პენსია სოციალურ პაკეტებთან ერთადაც მოქმედებს.

- სოციალური დახმარების დროს, ტარიფების გრადაცია ითვალისწინებს მოსახლეობის შემოსავალს. რაც უფრო დაბალია ელექტროენერგიის მოხმარება, მით უფრო დაბალია ტარიფიც.
- ახალი რეფორმის მიხედვით, შეიქმნება მეორე პილარი - დაგროვებითი საპენსიო სქემა. დასაქმებულს საშუალება ექნება, დააგროვოს თანხა სტაჟისა და ხელფასის შესაბამისად, განსაზღვრული შენატანით, რომელიც იქნება დაუბეგრავი ხელფასის 6% და გადანაწილდება თანაბრად სახელმწიფოზე, დამსაქმებელზე და დასაქმებულზე. ამასთან, კონტრიბუცია - 6% გათავისუფლდება გადასახადიდან და იქნება დაუბეგრავი.
- ამჟამად საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტში საკომიტეტო განხილვები მიმდინარეობს. ახალი კანონის ამოქმედება 1 ივლისიდან იგეგმება.
- ჯანდაცვის უნივერსალური პროგრამა 2013 წლიდან მოქმედებს და ფარავს პენსიონერების ხარჯების 90%-ს. მედიკამენტები მხოლოდ მკურნალობის პერიოდშია უფასოდ ხელმისაწვდომი.
- პენსიონერები სარგებლობენ განახევრებული სატრანსპორტო ტარიფებით. შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ტრანსპორტი სრულიად უფასოა.
- სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მოწყვლადი მოსახლეობის შესახებ.
- საქართველოში სიღარიბის დონე მაღალია. მოსახლეობის 20% მოწყვლადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მე-5 ქართველი სიღარიბეში ცხოვრობს. საბედნიეროდ, ეს რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. 10 წლის წინ მოსახლეობის 40% იყო მოწყვლადი.
- ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი სამინისტროსთვის თქვენი ვიზიტის შემაჯამებელი ანგარიშისა და რეკომენდაციების გაზიარება.

როზა კორნფელდ-მატე:

- ჩემი ვიზიტის საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება სექტემბერში, ხოლო მანამდე წინასწარ ანგარიშს მივაწვდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.
- ვფიქრობ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კარგი მიმართულებით ვითარდება.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ა. კოტრიკაძემ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის, ბატონი ნოდარ კერესელიძის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის14 მარტი
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) ანა კოტრიკაძე- საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს ატაშე.

საუბრის ჩანაწერი

ნოდარ კერესელიძე:

- მოგესალმებით და მზად ვართ, თქვენთან ერთად განვიხილოთ საინტერესო საკითხები.
- ჩვენი სამინისტრო ახალი ფორმატით ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა. მანამდე გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ორ დამოუკიდებელ უწყებას წარმოადგენდა.
- მოსახლეობის 43% დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში.
- ბოლო 20 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის დარგმა გარკვეული რეგრესი განიცადა. 2012 წლამდე სოფლის მეურნეობა არ მიიჩნეოდა სახელმწიფო პრიორიტეტად. 2013 წლიდან მთავრობამ დაიწყო საექსპორტო პოტენციალზე ზრუნვა, ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და გაიწერა ამოცანები.
- 90-იან წლებში, სავალუტო კრიზისის პერიოდში, ყველამ დაკარგა დანაზოგი. მოხუცებულები სოციალურ-კულტურულმა და ოჯახურმა ტრადიციებმა გადაარჩინა.

როზა კორნფელდ-მატე:

- ის ადამიანები, რომლებიც კოოპერატივებს ფლობდნენ საბჭოთა კავშირში, დღეს ხანდაზმულები არიან, რა არის მათი შემოსავლის წყარო?
- რა განსხვავებაა ძველსა და ახალ კოოპერატივებს შორის?
- აქვს თუ არა სოფლის მოსახლეობას საშუალება, დაზოგოს პენსია?

ნოდარ კერესელიძე:

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართულ პროდუქციას კონკურენციის უნარი არ აღმოაჩნდა. ხალხს დაურიგდა მიწები, რათა გამოკვების საშუალება მისცემოდათ. ამგვარად, ჩამოყალიბდა მცირენაკვეთიანი მეურნეობები.

- 90-ანი წლებისგან განსხვავებით, დღეს პენსია ყველა ასაკოვან ადამიანს აქვს. თუმცა, ეს თანხა მხოლოდ საარსებო მინიმუმისთვის არის საკმარისი. სოფლის მოსახლეობა პენსიის გარდა სოფლის მეურნეობიდანაც იღებს შემოსავალს.
- ჩვენი მთავრობის მთავარი მიღწევა არის საყოველთაო დაზღვევა.
- პროდუქციის 70%-ს ქვეყანაში ვაწარმოებთ, 30% კი იმპორტირებულია (განსაკუთრებით არასეზონური ხილი და ბოსტნეული).
- ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. მხარს ვუჭერთ ცალკეული კოოპერატივების შექმნას. ამ კუთხით, ხანდაზმულების დიდი ნაწილია ჩართული.
- განსხვავება ახალ და ძველ კოოპერატივებს შორის ძალიან დიდია. ახალ კოოპერატივში მსურველი თავისი საკუთრებით შედის, ხოლო საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრება საერთოდ არ არსებობდა. დღეს 1700 ახალი კოოპერატივია დარეგისტრირებული.

როზა კორნფელდ-მატე:

- აკმაყოფილებს, თუ არა სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოსახლეობის მოთხოვნას და ფასის მხრივ, რამდენად ხელმისაწვდომია აღნიშნული პროდუქცია?
- თქვენი აზრით, ხანდაზმულები ქალაქში უფრო უკეთ ცხოვრობენ, თუ სოფელში?
- საქართველოშიც სურთ ახალგაზრდებს სოფლიდან დიდ ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა?

ნოდარ კერესელიძე:

- სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების პროცესი ჰარმონიაში მოდის ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებასთან.
- გვსურს, საქართველოში განვავითაროთ ექსტენციის სისტემა. ქვეყანაში იხსნება საკონსულტაციო ცენტრები, გლეხები სარგებლობენ აგრონომთა რჩევებით და კონსულტაციებით.
- სოფლის მოსახლეობას ვთავაზობთ ბანკში შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროგრამას და ვახდენთ კრედიტის საპროცენტო გადასახადის სუბსიდირებას.
- ჩემი აღთქმით, ის ვინც ფლობს მიწას ქალაქგარეთ, ბევრად უფრო უკეთ ცხოვრობს, ვიდრე - ქალაქში.
- საქართველოში მოქმედებს ახალგაზრდა ფერმერების პროგრამა. სახელმწიფო მათ აძლევს გრანტებს სოფელში დასარჩენად, თუმცა ჩვენ ამ პროცესს ხელოვნურად ვერ შევაჩერებთ.
- სახელმწიფომ სოფელში და ქალაქში მაცხოვრებლებს თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ა. კოტრიკაძემ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, ბატონი კახა ხანდოლიშვილის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 16 მარტი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:
გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) რუსუდან ჯობავა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი; 2) სალომე ვეკუა - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს მესამე მდივანი.

საუბრის ჩანაწერი

კახა ხანდოლიშვილი:

- მოგესალმებით. მსურს, მადლობა გადავუხადო გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტს მობრძანებისთვის.
- როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მიერ განხორციელებულ განათლების რეფორმაზე, ძირითადად საუბარია ბავშვებზე, მაგრამ რეფორმა ყველა ასაკობრივ ჯგუფზე უნდა იყოს მორგებული, ეს არის ჩვენი პრიორიტეტი.
- განათლების რეფორმის მიზანია, განათლება შეესაბამებოდეს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.
- მსურს ვისაუბრო, არსებულ პრობლემებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დადგა დემოგრაფიული პრობლემის წინაშე, სტატისტიკის თანახმად, 50 000 ბავშვზე ნაკლები დაიბადა, ამან პრობლემები წარმოქმნა 16-17 წლის მერე, როდესაც დაუბადებელ ბავშვებს სკოლა უნდა დაემთავრებინა და მიეღო უმაღლესი განათლება. აბიტურიენტების ნაკლებობამ გამოიწვია, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების სტანდარტების მინიმუმამდე დაწევა, თითქმის ყველას მიეცა შესაძლებლობა მიეღო უმაღლესი განათლება, რამაც გამოიწვია პროფესიული სასწავლებლების პრაქტიკულად გაქრობა. საბოლოოდ ამ ყველაფრისგან მივიღეთ ის, რომ ყოველწლიურად უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს ათასობით იურისტი, ექიმი, ეკონომისტი და ა.შ. მაშინ, როდესაც შრომით ბაზარზე რეალურად გვესაჭიროება 100 იურისტი, 100 ექიმი და 100 ეკონომისტი. რაც შეეხება მოთხოვნად პროფესიებს, როგორიცაა მაგ. მკერავი, შემდუღებელი და ა.შ. ამ პროფესიის წარმომადგენელთა მიწოდება შრომითი ბაზრისთვის ნულის ტოლია.

- ასევე, გვყავს გამოცდილი აგრონომები და მშენებლები, რომლებმაც დიდი ხნის წინ მიიღეს განათლება, მაგრამ თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, ესეც გახლავთ განათლების სისტემის ერთ-ერთი პრობლემა.
- საქართველომ დაიწყო პროფესიული განათლების უფასო რეფორმა. ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია მიიღოს დამატებით კვალიფიკაცია, რათა კვლავ მოხდეს შრომით ბაზარზე მათი დაბრუნება.
- გაცნობებთ, რომ პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს. ხსენებული პროექტი კიდევ უფრო გააფართოებს შესაძლებლობებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის.
- მნიშვნელოვანია, მოხდეს განსხვავებულ პირობებში მიღებული ცოდნის აღიარება და რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოზიდვა, რეგიონებზე მორგებულ ფაკულტეტებზე.
- ზემოხსენებულ რეფორმაში, ასევე ჩართულია კერძო სექტორი და სახელმწიფო ცდილობს მათ მოთხოვნებსაც მოერგოს.
- მსურს მოგახსენოთ, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე 30%-დან 56%-მდე გაიზარდა პროფესიული კოლეჯებიდან დასაქმების მაჩვენებელი.
- ხანდაზმულების შემთხვევაში, ძირითადად პროფესიულ განათლებაზე ვართ ორიენტირებული.
- წელს ვგეგმავთ პიარ კამპანიის დაწყებას, რომლითაც ხელს შევუწყობთ პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით - რეგიონებში.
- ჩვენ რეფორმას „Life Learning"- ის კონტექსტში ვახორციელებთ.
- არსებობს მუდმივი გადამზადების კურსები მასწავლებლებისთვის, დირექტორებისთვის და ა.შ., რადგან საბჭოთა კავშირის დროს მიღებული განათლება განსხვავდება თანამედროვე მოთხოვნებისაგან.

როზა კორნფელდ-მატე:

- როგორია საქართველოს მოსახელობის დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ?

კახა ხანდოლიშვილი:

- საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, პროფესიული განათლება ითვლებოდა დამაკნინებლად. ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის პრობლემა დღესაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს და ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ.

როზა კორნფელდ-მატე:

- რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან პროფესიულგანათლებამიღებული და უმაღლესდამთავრებული ადამიანის ანაზღაურება?

კახა ხანდოლიშვილი:

- პროფესიულგანათლებამიღებული ადამიანის ანაზღაურება მეტია, ვინაიდან შრომით ბაზარზე მათზე მოთხოვნა ძალიან დიდია, ხოლო მიწოდება თითქმის არ ხდება.

როზა კორნფელდ-მატე:

- დიდი მადლობა საქართველოს ამ რეფორმისთვის. მუდმივი გადამზადების პროგრამა ვისზეა მორგებული?

კახა ხანდოლიშვილი:

- საქართველოს დემოგრაფიული პრობლემა აქვს რეგიონის სკოლებში, არსებობს 280 საჯარო სკოლა, აქედან 2/3-ში სწავლობს 200 ნაკლები ბავშვი.
- რეგიონებში ასევე არ არიან ახალგაზრდა მასწავლებლები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასაკოვანი მასწავლებლების გადამზადება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით. გადამზადება არ არის სავალდებულო, მაგრამ გააჩნია ფინანსური მოტივაცია. 1 წლის განმავლობაში გადამზადებაზე მოთხოვნის 4-5 ჯერ გაიზარდა. მასწავლებლებს ეძლევათ თვითგანვითარების საშუალება.

როზა კორნფელდ-მატე:

- საქართველოს გადამზადების პროგრამის კარგი მაგალითი აქვს. ამის მეშვეობით, ასაკოვან ადამიანებსაც შეუძლიათ განვითარდნენ. ასევე, მე ვფიქრობ შესაძლებელია ამ მოდელის სხვა სფეროებზე მორგება, ვინაიდან თუ ეს მოდელი განათლების სისტემაში მუშაობს, სხვაგანაც იმუშავებს. მინტერესებს რა არის გადამზადების პროგრამაგავლილ მასწავლებელთა საშუალო ასაკი?

კახა ხანდოლიშვილი:

- მასწავლებელთა უმეტესობა 40 წელს არის გადაცილებული, ხოლო რეგიონებში 60 წლამდეა საშუალო ასაკი.

როზა კორნფელდ-მატე:

- კარგი გამოცდილება გაქვთ. თქვენი მოდელი წარმატებით მუშაობს. ხანდაზმული პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მნიშვნელოვანია. ჩვენ გვესაჭიროება როგორც ახალგაზრდა, ასევე ასაკოვანი საზოგადოების წევრები. რამე კითხვა ხომ არ გაქვთ ჩემთან?

კახა ხანდოლიშვილი:

- რამეს ხომ ვერ გვირჩევდით „Life Learning”-ის მიმართულებით. რაიმე კონკრეტულ მოდელს ხომ ვერ მოგვიყვანდით მაგალითად? წელს იწერება ერთჯერადი სამოქმედო გეგმა და თქვენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებდით.

როზა კორნფელდ-მატე:

- მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრება გრძელდება და საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ეცადოს ღირსეული ცხოვრება შეუქმნას პენსიონერებს. მე გირჩევდით საბავშვო სახელმძღვანელოებში იყოს

გაწერილი „სიბერის ცნება“, ყველამ ბავშვობიდან უნდა იცოდეს, რომ ის დაბერდება და ეს ნორმალური მოვლენაა

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ს. ვეკუამ

ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, ბატონი კახა კოჟორიძის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 16 მარტი
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

შეხვედრას ესწრებოდნენ:
გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.
საქართველოს მხრიდან: 1) ზურაბ მაჭარაძე - საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე; 2) სალომე ვეკუა - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს მესამე მდივანი.

საუბრის ჩანაწერი

კახა კოჟორიძე:

- მადლობას გიხდით საქართველოს პრეზიდენტის სახელით საქართველოში ჩამობრძანებისთვის.
- ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსთვის. ასევე ამ მხრივ არსებული პრობლემების მოგვარება და პენსიონერების დახმარება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია.
- ეს ვიზიტი სახელმწიფოს დაეხმარება მიიღოს ექსპერტისაგან კვალიფიციური რჩევები, ამისთვისაც ცალკე გიხდით მადლობას.

როზა კორნფელდ-მატე:

- ჩემთვის, როგორც ექსპერტისთვის, მნიშვნელოვანია ვნახო, თუ როგორ ხორციელდება ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვა ყველა მიმართულებით. არის თუ არა დაცული მათი ფუნდამენტალური უფლება - ჰქონდეთ ღირსეული სიბერე. რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის ჯანდაცვის პროგრამა, იუსტიციის სერვისები და სხვა.
- სტატისტიკის თანახმად ასაკობრივი ადამიანები ძალიან ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი, აქ აგრეთვე, იგულისხმება ფინანსური ძალადობა ოჯახის წევრების მხრიდან, დისკრიმინაცია ასაკობრივი კუთხით და სხვა.

- ძალიან ხშირად ყველა ეს დარღვევა ერთ ადამიანთან იყრის თავს, პიროვნება არის მოხუცი, ღარიბი და სასამრთლო მისთვის არ არის ხელმისაწვდომი.
- მე ვურჩიე სამუშაო ჯგუფს ნიუ-იორკში, რომელშიც თქვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც არიან, შექმნან სამუშაო ინსტრუმენტი ასაკოვანი ადამიანების დასახმარებლად და მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

კახა კოჟორიძე:

- საქართველოც მუშაობს ამ მიმართულებით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ხერხდება ასაკოვანი პირების დაცვა სოციალური კუთხით.
- ჩვენი მიზანია ასაკოვანი ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და უზრუნველყოფილი.
- საქართველოს აქვს სოციალური ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც, პირველ რიგში, განკუთვნილია ხანდაზმული პირებისათვის.

როზა კორნფელდ-მატე:

- ვიცი, რომ საქართველო ამ კუთხით წინ მიიწევს. თქვენთან არის პენსია, სოციალური ჯანდაცვის სისტემა. გარკვეული ნაბიჯები ნამდვილად არის გადადგმული, მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს, რათა ხანდაზმულებს ჰქონდეთ ღირსეული სიბერე.

კახა კოჟორიძე:

- ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, მიზანია მაქსიმალურად დავეხმაროთ ხანდაზმულებს, რათ მათ ჰქონდეთ ცხოვრების უკეთესი პირობები.
- საბჭოთა კავშირმა წარმოშვა პრობლემები, მათ შორის, ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებით. მაგ.: საქართველოში თითქმის ყველა ოჯახმა შეიტანა დანაზოგი იმ დროს არსებულ ბანკებში, რათა ჰქონოდათ ღირსეული სიბერე და მათ ეს დანაზოგი დაკარგეს. სახელმწიფოს დღეს არ ააქვს შესაძლებლობა აუნაზღაუროს მოსახლეობას ეს მატერიალური ზარალი, თუმცა მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა, თუ როგორ დაუბრუნოთ მოქალაქეებს ამ თანხის მინიმუმი მაინც. არსებობს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ, ანუ სახელმწიფო აღიარებს, როგორც შიდა ვალს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს მექანიზმი არ არის ეფექტური.
- მთავარი პრობლემა არის სიღარიბე და უმუშევრობა, შემდეგ მოდის ჯანდაცვა, თავშესაფრისა და საკვები არქონა, ეს ყველაფერი კი ისევ უმუშევრობას უკავშირდება.
- ხსენებული პრობლემების აღმოფხვრა სახელმწიფოს პრიორიტეტია. მოქალაქეების ძირითადად ამ პრობლემებზე აკეთებენ აქცენტს, ხანდაზმულები კი ბევრად უფრო მოწყვლადები არიან, ვიდრე საზოგადოების სხვა წევრები.

როზა კორნფელდ-მატე:

- მოხუცებს ხშირად ათავისუფლებენ სამსახურიდან, საქართველოში რა სიტუაციაა ამ მხრივ?

კახა კოჟორიძე:

- საქართველოს პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი და შესაბამისად, პრეზიდენტის აპარატი, როგორც პასუხისმგებელი უწყება, ამ მიმართულებით ჩართული არ არის. თუმცა პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანია ეს პრობლემები და მათი აღმოფხვრა მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.
- საქართველოს პრეზიდენტის ფონდი აქტიურად ეხმარება ხანდაზმულებს.

როზა კორნფელდ-მატე:

- კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დახმარება?

კახა კოჟორიძე:

- მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს დაურიგდათ აფთიაქის ვაუჩერები მედიკამენტების შესაძენად. ასევე ვეხმარებით მოხუცთა თავშესაფრებს, გადავიხადეთ მათთვის კომუნალური გადასახადები. ფონდიდან დაიხარჯა ერთ მილიონ ლარამდე მათ დასახმარებლად. ვიცით, რომ არსებული მაშტაბური პრობლემების გათვალისწინებით ეს თანხა მცირედია, მაგრამ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა შევძლოთ მეტის გაკეთება.
- თქვენი აქ ყოფნაც მიუთითებს საქართველოს დაინტერესებაზე - მოაგვაროს ხანდაზმულ პირთა მიმართებაში არსებული პრობლემები, დაიცვას მათი უფლებები, მიიღოს თქვენგან რჩევა და მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის.

როზა კორნფელდ-მატე:

- მადლობას გიხდით მოწვევისთვის და წარმატებებს გისურვებთ.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ს. ვეკუამ

ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის, ქალბატონი სოფო ჯაფარიძის ოფიციალური შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ.თბილისი, 2018 წლის16 მარტი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) თორნიკე დვალი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მრჩეველი; 2) სალომე სუპატაშვილი - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს პირველი მდივანი.

საუბრის ჩანაწერი

სოფო ჯაფარიძე:

- მოგესალმებით. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ვიზიტი საინტერესო იქნება.

როზა კორნფელდ-მატე:

- მოგესალმებით. როგორც მოგეხსენებათ, მე გახლავართ დამოუკიდებელი ექსპერტი ხანდაზმული ადამიანების უფლებების დაცვის საკითხებში. ჩემი მანდატის გათვალისწინებით. დამოუკიდებელი ვარ, როგორც გაერო-სგან, ასევე - სახელმწიფოებისგან.
- ვიზიტის ფარგლებში მსურს, შევისწავლო საქართველოში ხანდაზმულთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.
- მოინახულე ხანდაზმულთა თავშესაფრები, რათა უკეთესად შემესწავლა არსებული ვითარება.
- ჩემთვის მნიშვნელოვანია, რამდენად ხელმისაწვდომია ხანდაზმულთათვის ჯანდაცვის სერვისები და იურიდიული დახმარება, რათა მოხდეს ხანდაზმულთათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა.
- შემუშავებული გვაქვს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელზეც იმუშავა სპეციალურად შექმნილმა ჯგუფმა (ნიუ-იორკის ჯგუფი), რომელშიც საქართველოც შედის.
- როგორც იცით, 2002 წელს შემუშავდა ე.წ. მადრიდის ტექსტი, რომელსაც ბევრი ქვეყანა მიუერთდა და რომელიც ზრუნავს ხანდაზმულთა უფლებების დაცვაზე და იმ ინსტრუმენტის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას.
- მსურს აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა აქვს გაწეული, გაქვთ არაკუმულირებადი პენსია, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ხანდაზმულთა თავშესაფრები.
- მსურს, შევისწავლო თქვენს მიერ მიღებული გზამკვლევი და უკვე დანერგილი სასიკეთო პრაქტიკა, რაც უკვე დანერგილია და შესაძლებელია თქვენგან იქნას აღებული.

სოფო ჯაფარიძე:

- მადლობას მოგახსენებთ, რომ გამოეხმაურეთ იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რაც ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან დაბერების საკითხებზე პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდა. მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი რეკომენდაციები, რადგან ჩვენი მიზანია, ჩვენი კანონმდებლობა სრულ თანხვედრაში იყოს საერთაშორისო ვალდებულებებთან და მოთხოვნებთან.

როზა კორნფელდ-მატე:

- ვიზიტის შემდგომ ჩავატარებთ პრეს-კონფერენციას, რომელზეც შევაჯამებთ ვიზიტს, თუმცა საბოლოო ანგარიში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს წარედგინება 2018 წლის სექტემბერში.

სოფო ჯაფარიძე:

- საინტერესო იქნება თქვენს მიერ მომზადებული ანგარიში, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამჟამად არის 2018-2020 წლებისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.
- ბოლო წლების განმავლობაში ძირეულად შეიცვალა სახელმწიფო მიდგომა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი დოკუმენტის შემუშავების პროცესი არის გახსნილი და მაქსიმალურად ხდება კვლევის იმ შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ დოკუმენტებში. შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექნება შესაძლებლობა მაქსიმალურად გაითვალისწინოს და ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ასახოს თქვენი რეკომენდაციები.
- 2016 წელს სახელმწიფომ პირველად შეიმუშავა დაბერების შესახებ პოლიტიკა, რომელსაც მოჰყვა 2017 წელს შემუშავებული დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით პრიორიტეტებს ითვალისწინებს. ჯანდაცვის სამინისტრომ განახორციელა შუალედური შეფასება, რომელშიც თვალსაჩინოდ ჩანს, თუ სად გვაქვს ყველაზე მეტი პროგრესი და რა მიმართულებით არის დარჩენილი გამოწვევები.
- დარჩენილი გამოწვევების უმეტესობა დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მობილიზებასთან, თუმცა რამდენიმე წლის წინ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ სამოქმედო გეგმას უნდა ახლდეს ბიუჯეტირების სვეტი, რომელიც შემუშავდება წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე.

როზა კორნფელდ-მატე:

- ბიუჯეტის კუთხით გამოწვევები მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს პრობლემას. ბევრმა მათგანმა მიიღო გადაწყვეტილება, მოეხდინა ამ თემის ინსტიტუციონალიზაცია, რათა თანაბრად განაწილებულიყო რესურსები. ჩვენი წინადადებაx იქნება საქართველოშიც ჩამოყალიბდეს ასეთი ინსტიტუტი.
- ხანდაზმულთა რაოდენობა მზარდია და ზოგიერთ ქვეყანაში 2025 წლის პერსპექტივაში იმდენივე ხანდაზმული იქნება, რამდენიც 0-დან 16 წლის ასაკამდე.

სოფო ჯაფარიძე:

- გეთანხმებით, რომ ხანდაზმულები განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ.

- ზემოხსენებული დოკუმენტის შემუშავებას წინ უსწრებდა საკითხის ძირეული შესწავლა და გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) კვლევა, რომლის თანახმადაც, 2020 წლისთვის ხანდაზმულთა რაოდენობის პროცენტული ზრდა არის მოსალოდნელი.

როზა კორნფელდ-მატე:

- მნიშვნელოვანია, ხანდაზმულთათვის იყოს გარანტირებული ღირსეული სიბერე ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით - ჯანდაცვის სერვისების კუთხით.
- ასევე, მნიშვნელოვანია დღის ცენტრები, ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ ხანდაზმულების სოციალიზაციას.

სოფო ჯაფარიძე:

- გვესმის დღის ცენტრების არსებობის მნიშვნელობა და ვცდილობთ, გავაფართოვოთ ასეთი ცენტრების გეოგრაფიული არეალი. რამდენადაც ვიცი, თქვენ მოინახულეთ ერთ-ერთი დღის ცენტრი და მისასალმებელი იქნება თქვენი აზრი და რეკომენდაცია ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
- ქვეყნის დაბერების პოლიტიკა მნიშვნელოვან ბმაშია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ს.სუპატაშვილმა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, ქალბატონი ნათია გულუას შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 14 მარტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) ნინო მიქელაძე- მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; 2) ანა კოტრიკაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს ატაშე.

საუბრის ჩანაწერი

როზა კორნფელდ-მატე:

- დიდი მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო და შეგვხვდით.
- გვსურს, გავეცნოთ, რა ხდება საქართველოში ხანდაზმულ პირთა უფლებების კუთხით ფინანსურ სფეროში.
- საშუალება მომეცა, გავცნობოდი დაბერების საკითხებთან დაკავშირებულ 2016-2018 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმას. სამწუხაროდ, აღნიშნულ დოკუმენტში ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემები იკვეთება, მათ შორის, აღსანიშნავია ბიუჯეტის რეალიზაციისა და მისი ამოქმედების საკითხი.
- მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ცალკეული ინსტიტუციები, საკუთარი ბიუჯეტითა და სამოქმედო გეგმით. ისინი ზრუნავენ მხოლოდ ხანდაზმულ პირთა პრობლემების მოგვარებაზე, ეკისრებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვადასხვა სამინისტროების შეხედულებების თავმოყრა. მსგავსი სისტემა არ ჯდება ძვირი და ვფიქრობ, საქართველოშიც შეიძლება აღნიშნული მოდელის დანერგვა.

ნათია გულუა:

- საქართველოში ზემოხსენებული ინსტიტუციის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს.
- როდესაც ახალ დოკუმენტზე იწყება მუშაობა, ფინანსთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროცესში.
- ამჟამად, დამტკიცებულია 4 წლიანი გეგმა და წინასწარი ბიუჯეტი, რომელიც ემსახურება მთავრობის გეგმის შესრულებას. აღნიშნული ბიუჯეტი განიცდის გარკვეულ ცვლილებას წლიდან წლამდე, თუმცა ზედა პარამეტრი არ იცვლება.

როზა კორნფელდ-მატე:

- ბოლო 4 წლიანი გეგმის მიღება რომელი წლებისთვის მოხდა?

ნათია გულუა:

- ეს სისტემა 2004 წლიდან მოქმედებს. ბოლო გეგმა მიღებულია 2018-2022 წლებში.
- 4 წლიანი სტრატეგიის დოკუმენტი არის ბიუჯეტის თანმხლები დოკუმენტი.

როზა კორნფელდ-მატე:

- არსებობს თუ არა ხანდაზმულ პირთათვის გამოყოფილი ბიუჯეტი?

ნათია გულუა:

- ბიუჯეტი არ არსებობს, რადგან სამოქმედო გეგმაში საუბარია ადმინისტრაციულ რესურსებზე, ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც თანხას არ საჭიროებს (მაგ. კანონის შეცვლა, საპენსიო რეფორმა).

- იგეგმება საპენსიო სააგენტოს შექმნა, რომელიც სამეთვალყურეო და საინვესტიციო საბჭოებისგან იქნება შემდგარი. საინვესტიციო საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საპენსიო თანხების მაქსიმალურ დაცვას.
- დაგროვებითი პენსია მხოლოდ დასაქმებულთათვის განკუთვნილი. ვინც უმუშევარია, მას მხოლოდ საბაზისო პენსია ეკუთვნის. მომავალ წლებში იგეგმება საბაზისო პენსიის გაზრდა.

როზა კორნფელდ-მატე:

- მესმის ამ რეფორმის არსი, იგი შეესაბამება დღევანდელ რეალობას, თუმცა დაგროვებითი პენსია, არც თუ ისე სოლიდარულია. ამ ტიპის საპენსიო მოდელის მიხედვით, ხალხი დამოკიდებული იქნება სახელმწიფოზე, როგორც დამსაქმებელზე. თქვენს ქვეყანაში კი უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია.
- იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველო დაამარცხებს უმუშევრობის პრობლემას. შესაძლებელია, რომ ერთმა ინსტანციამ უხელმძღვანელოს ხანდაზმულ პირთა საკითხებს?

ნათია გულუა:

- ამჟამად ამ საკითხს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელმძღვანელობს.

როზა კორნფელდ-მატე:

- სიბერე არ არის მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული, ამიტომ ვთვლი, რომ საჭიროა ახლი ინსტანციის შექმნა.
- თუ ქვეყანაში იარსებებს პოლიტიკური ნება და სურვილი, შესაძლებელი გახდება წარმატების მიღწევა ამ სფეროში.
- გთხოვთ, რომ არ დაივიწყოთ ხნიერი ადამიანები.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ა. კოტრიკაძემ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონი ქეთევან სარაჯიშვილის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 20 მარტი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) თეონა ფირანიშვილი- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი. 2) ანა კოტრიკაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს ატაშე.

საუბრის ჩანაწერი

როზა კორნფელდ-მატე:

- მადლობას მოგახსენებთ, რომ გამონახეთ დრო და შეგვხვდით. მაინტერესებს, რა მიღწევები აქვს თქვენს სამინისტროს ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით?

ქეთევან სარაჯიშვილი:

- მოგესალმებით. ადამიანის უფლებების დაცვა იუსტიციის სამინისტროს მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.
- 2014 წელს საქართველომ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულ პირთა, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვას.
- 2014 წლამდე ანტიდისკრიმინაციული ნორმები გაბნეული იყო სხვადასხვა აქტებში. ამ კანონის წყალობით, აღნიშნული ნორმები გაერთიანდა და შეიქმნა სპეციალური ორგანო, რომელიც მონიტორინგს უწევს კანონის აღსრულებას.
- გარდა საკანონმდებლო რეგულაციებისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან. აღნიშნული შეხვედრების მთავარი მიზანი, ხალხის ცნობიერების ამაღლებაა.

როზა კორნფელდ-მატე:

- ესწრებიან, თუ არა ხანდაზმულები მსგავს შეხვედრებს?

ქეთევან სარაჯიშვილი:

- საინფორმაციო შეხვედრები ეძღვნება ქალთა მიმართ ძალადობის თემას. აღნიშნულ შეხვედრებზე განსაკუთრებით აქტიურობენ ხანდაზმული ქალბატონები.
- როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ 2014 წელს მოაწერა ხელი სტამბოლის კონვენციას (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია), ხოლო 2017 წელს მოახდინა მისი რატიფიცირება.
- აღნიშნული კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში მოქმედებს კამპანია -„იმოქმედე", რომელიც ეხება ოჯახში ძალადობას, ქალთა და მოხუცთა მიმართ ძალადობას.
- ზემოხსენებული კამპანიის ვიდეო-რგოლი გადის პირველ არხზე და რეგიონულ არხებზე.

როზა კორნფელდ-მატე:

- ვთვლი, რომ ზოგადად ძალადობაზე საუბარი სკოლის პერიოდიდან უნდა დაიწყოს. არის თუ არა სახელმძღვანელოებში შეტანილი ხანდაზმულთა უფლებების თემა?

ქეთევან სარაჯიშვილი:

- გეთანხმებით, ბავშვებს თავიდანვე უნდა ჩამოვუყალიბოთ არაძალადობრივი დამოკიდებულება მოხუცებულთა მიმართ.
- ძალადობის თემატიკა შეტანილია სახელმძღვანელოებში, მაგრამ კერძოდ ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა განხილული არ არის.

როზა კორნფელდ-მატე:

- რა სანქციებია გათვალისწინებული ოჯახური ძალადობის შემთხვევაში?

ქეთევან სარაჯიშვილი:

- ოჯახური ძალადობა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად ითვლება და ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ისჯება.
- ხალხმა ისწავლა, რომ ძალადობის შემთხვევაში რეაგირება უნდა მოახდინოს და შეატყობინოს პოლიციას. აქტიურობა ხანდაზმულთა მხრიდან შედარებით უფრო დაბალია, ამიტომ საჭიროა, მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება.
- პატარა ასაკიდან უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სოლიდარობა მოხუცთა მიმართ.
- აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ უფასო იურიდიული მომსახურებით, როგორც ქალაქებში, ასევე რეგიონებში. ოკუპირებულ ტერიტორიებთან მცხოვრები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი სახლის (იუსტიციის სახლის მოდელი) სერვისი.

როზა კორნფელდ-მატე:

- საქართველოში ხანდაზმულთა მიმართ ადგილი აქვს სამი ძირითადი ტიპის ძალადობას - ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. მიტოვების ძალადობა აქ არ შემხვედრია.

- საჭიროა, რომ საქართველოში სახელმწიფოს დახმარებით შეიქმნას ხანდაზმულთათვის დღის ცენტრები.

ქეთევან სარაჯიშვილი:

- დიახ, ეს იდეალური ვარიანტია, თუმცა ეკონომიკური მდგომარეობის გამო სახელმწიფოს მსგავსი იდეების განხორციელებისთვის რესურსი ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

როზა კორნფელდ-მატე:

- გახსოვდეთ, რომ ხანდაზმული ადამიანი არ უნდა იყოს ტვირთი.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ა. კოტრიკაძემ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბატონ ვახტანგ მახარობლიშვილის შეხვედრის საუბრის ჩანაწერი ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელ ექსპერტთან, ქალბატონ როზა კორნფელდ-მატესთან

ქ. თბილისი, 2018 წლის 22 მარტი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერო-ს მხრიდან: 1) ხალედ ჰასინი - გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი.

საქართველოს მხრიდან: 1) ნინო შეყრილაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს უფროსი; 2) ანა კოტრიკაძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების გაერო-ს სამმართველოს ატაშე; 3) თათია გვარამაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური დეპარტამენტის, პენსიებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

საუბრის ჩანაწერი

ვახტანგ მახარობლიშვილი:

- მოგესალმებით. ჩვენი ქვეყნისათვის თქვენი ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. ხანდაზმულ პირთა უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობა საკმაოდ აქტუალური გახდა, ვინაიდან მათი რიცხვი საქართველოში ყოველდღიურად მატულობს.

- მისასალმებელია გაერო-ს ძალისხმევა და მონდომება ხანდაზმულთა უფლებების დაცვის სფეროში. როგორც ვიცი, მომავალში იგეგმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კონვენციის მიღება.

როზა კორნფელდ-მატე:

- დიდი მადლობა საქართველოში მოწვევისათვის. ძალიან კარგი მიღება და ვიზიტი მქონდა. ძალიან პოზიტიური შთაბეჭდილება შემექმნა. ბუნებრივია, მექნება რიგი რეკომენდაციებიც. თქვენი ქვეყანა ნამდვილად კარგი მიმართულებით ვითარდება, თუმცა ვთვლი, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი კიდევ არის.
- საქართველო დაბერების თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა კავკასიის რეგიონში და 2030 წლისთვის, აქ დაბერებული საზოგადოება იცხოვრებს.
- ჩემი ერთ-ერთი რეკომენდაცია იქნება, დაინერგოს სამოქმედო გეგმა და დაჩქარდეს დემოგრაფიული ტრანზიციის პროცესი. ეს უნდა აისახოს ბიუჯეტში და უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური ნება. ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიქმნას შესაბამისი ინსტანცია (შეიძლება ეს იყოს ორგანო, რომელიმე სამინისტროს ფარგლებში), რომელიც ყველა შესაბამის სამინისტროებთან ერთად იმუშავებს და ამ პროცესს უხელმძღვანელებს. თქვენ შეგიძლიათ იყოთ ლიდერი რეგიონში. ყველაზე ასაკოვანი საზოგადოება ხართ. მნიშვნელოვნია პრევენცია. ადამიანი უკეთ დაბერდება, თუკი წინასწარი ნაბიჯები გადაიდგმება. თუკი ადამიანი ჯანმრთელია და ხელი მიუწვდება სერვისებზე, ეს მისთვისაც უკეთესია და სახელმწიფოსაც უფრო იაფი დაუჯდება.
- საპენსიო რეფორმა, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს, საკმაოდ საინტერესოა, თუმცა აუცილებელია, რომ აღნიშნულ საპენსიო მოდელში გათვალისწინებული იყოს მოწყვლადი ფენაც. სამწუხაროდ, ხალხის დიდი ნაწილი უმუშევარია და ვერ ახერხებს დანაზოგის გაკეთებას.
- მე გახლავართ ჩილედან, სადაც მსგავსი რეფორმა 30 წლის წინ გატარდა. დღეს ჩემს ქვეყანას ზემოხსენებულ საპენსიო მოდელში შესწორებები შეაქვს. ამიტომ, რაც უფრო ადრე დავიწყებთ პროცესს, მით უკეთესი.

ვახტანგ მახარობლიშვილი:

- ვფიქრობ, თქვენი ვიზიტი სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას.
- საქართველო მუდამ მზად არის, უმასპინძლოს მსგავს ვიზიტებს. ბოლო 2 წლის სტატისტიკის მიხედვით, ჩვენს ქვეყანას გაერო-ს 5 სპეციალური მომხსენებელი ესტუმრა.
- სასურველია, რომ ინფორმაცია ხანდაზმულთა საკითხების შესახებ მოძიებულ იქნას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, ოკუპირებულ რეგიონებშიც. მოგეცათ, თუ არა საშუალება ხანდაზმულ პირთა უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობას აღნიშნულ რეგიონებშიც გაცნობოდით?
- მადლობას გიხდით დადებითი შეფასებისთვის. თქვენი რეკომენდაციები ჩვენთვის საყურადღებო იქნება.

როზა კორნფელდ-მატე:

- სამწუხაროდ, ჩვენი ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა ვერ მოხერხდა.
- ქვეყანაში მიმდინარე რეფორმა უფრო წარმატებული იქნება, თუ ის მეტად სოლიდარული გახდება და გაითვალისწინებს მოწყვლად ფენებს.
- ძალიან მიხარია, რომ შეგხვდით.
- მიმდინარე წლის სექტემბერში გამოქვეყნდება ჩემი ვიზიტის სრული ანგარიში.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა ა. კოტრიკაძემ